სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნიკოლოზ ვარაზაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	1	5
ქულათა ჯამი	89	100

თარიღი : 9.12.24

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 9 დეკემბერი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ნიკოლოზ ვარაზაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ნიკოლოზ ვარაზაშვილი.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 2 დეკემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შეევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 41 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული, თსუ, 2005 წელი), სპეციალობით მუშაობს 18 წელია, კერძოდ:

- 2006 წლის ივნისი - 2007 წლის დეკემბერი, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს გამომძიებელი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- 2008 წლის იანვარი - 2009 წლის აპრილი, ადვოკატი - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- 2009 წლის აგვისტო - 2009 წლის ოქტომბერი, კანცელარიის სისხლის სამართლის საქმეთა სექტორის სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2009 წლის ოქტომბერი - 2012 წლის იანვარი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2012 წლის იანვარი - 2016 წლის ოქტომბერი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2016 წლის ოქტომბერი - 2022 წლის მაისი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2022 წლის მაისი - 2023 წლის ოქტომბერი, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- 2023 წლის ოქტომბერი - 2024 წლის ოქტომბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ, ხოლო გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/ძალიან კარგად.

კანდიდატ ნიკოლოზ ვარაზაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საანგარიშო პერიოდში, კანდიდატი ერთ შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ ნიკოლოზ ვარაზაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

ნიკოლოზ ვარაზაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - **84/15.**
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„ადმინისტრაციულ სამართალში* - ნიკოლოზ ვარაზაშვილს აქვს ადმინისტრაციული სამართლის თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი და დასაბუთებული სამართლებრივი მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები აკმაყოფილებს საპროცესო დოკუმენტებისათვის დადგენილ ფორმალურ და სტილისტურ სტანდარტს. ნიკოლოზ ვარაზაშვილი სიღრმისეულად იცნობს სამართლის ნორმებს. აქვს მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, რასაც მაღალ დონეზე იყენებს პრაქტიკულ

საქმიანობაში. მას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაცნობის შედეგად, სწრაფად შეუძლია კონცენტრირდეს საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე, სიღრმისეულად შეისწავლოს აღნიშნული გარემოებები, მოიძიოს უახლესი პრაქტიკა და თეორიული ცოდნისა და მოძიებული პრაქტიკის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. *სამოქალაქო სამართალში* - ნიკოლოზ ვარაზაშვილს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. ნიკოლოზ ვარაზაშვილი, ასევე, სიღრმისეულად იცნობს სამართლის ნორმებს. მას აქვს მაღალი კვალიფიკაცია და უნარი, სამართლებრივი საკითხი გადაწყვიტოს დამოუკიდებლად. *სისხლის სამართალში* - ნიკოლოზ ვარაზაშვილს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე, სემინარებსას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

ნიკოლოზ ვარაზაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „განაჩენის დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე" - (HELP-ის დისტანციური სასწავლო კურსი); „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში"; „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება" (სისხლის სამართლის მიმართულება); ტრენინგი ადამიანის უფლებებზე - PROLOG; „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტიკური გამართულობა" და ა.შ.).

ნიკოლოზ ვარაზაშვილს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა, ადვოკატთა და მოსამართლის (ორჯერ) საკვალიფიკაციო გამოცდები.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოითხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან, სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ პრეზუმფციას, არ გამაჩნია, „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას, არის სამართლიანი, თავდაჯერებული და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის გაწონასწორებული, კორექტული, ზრდილობიანი, თავდაჭერილი, გამოირჩევა სიდინჯით და ტაქტიანობით, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატის აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი სამსახურსა და საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ნიკოლოზ ვარაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სისხლის სამართლის მიმართულებით მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სტანდარდ ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემოხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **23 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს, დასაბუთებას ამყარებს, როგორც ეროვნული ისე ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მისი არგუმენტაცია და დასაბუთება არის მარტივი და გასაგები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური – 25 ქულა);**

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ნიკოლოზ ვარაზაშვილს აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები შინაარსობრივი თვალსაზრისით, სწორად და გასაგები ენითაა გადმოცემული. პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. ნიკოლოზ ვარაზაშვილს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ამომწურავად გადმოსცემს აზრს, აქვს კარგი კომუნიკაციის უნარი. მას, ასევე შეუძლია მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. მის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტები მარტივად გასაგები და არგუმენტირებულია.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული

კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის პუნქტუალური, ორგანიზებული, მიზანმიმართული, კოლეგიალური და თავდაჯერებული.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი გამოირჩევა ცოდნის გაღრმავების და პროფესიული უნარ-ჩვევების შემენის ინტერესით, მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში და შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **8 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **1 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 89 ქულას.

ლევანი თევზაძე